სიტყვების მარკეტი

მოსწავლეები ამოიკითხავენ სიტყვის ბარათებს, ახდენენ მათ კლასიფიცირებას და ამის მიხედვით გაუცვლიან ერთმანეთს.



კლასი: I-II

მუშაობის ფორმა: წყვილები, მცირე ჯგუფები.

რესურსი: სიტყვის ბარათები.

მსვლელობა

- მასწავლებელი ურიგებს მოსწავლეებს თანაბარი რაოდენობის განსხვავებულ სიტყვის ბარათებს. ბარათები გარკვეული პრინციპითაა განაწილებული. მოსწავლეების მიზანია შეაგროვონ საერთო კატეგორიაში შემავალი სიტყვები. მაგალითად, ერთ მოსწავლეს შეხვდება „აგური“, „ფიცარი“, „ცემენტი“ და „პამიდორი“. მისი მიზანი იქნება, „პამიდორი“ გადაცვალოს რომელიმე სამშენებლო მასალის აღმნიშვნელ სიტყვაში, რომელიც სხვა მოსწავლეს ექნება. ამ უკანასკნელს კი, თავის მხრივ, მოსაპოვებელი ექნება ბოსტნეულის აღმნიშვნელი სიტყვა.
- ყველა მოსწავლე მაგიდაზე დააწყობს თავის ბარათებს ისე, რომ ჯგუფის თითოეული წევრი კარგად ხედავდეს.
- მოსწავლეები იწყებენ „ვაჭრობას“. ერთი მოსწავლე ამბობს: „ლევან, მე გაგიცვლი ჩემს „კურდღელს“ შენს „ვაშლში“. მეორე მოსწავლეს აქვს არჩევანი, გაუცვალოს თუ არა. მას შეუძლია უპასუხოს: „არა, მაგრამ მე გაგიცვლი ჩემს „ვაშლს“ შენს „მაისურში“.
- მოსწავლეებმა უნდა მოაგროვონ ერთი სახეობის სიტყვები. მაგალითად, ხილი, შინაური ცხოველები, სასწავლო ნივთები, ლურჯი საგნები, საჭმელები, სახატავი ნივთები და სხვ.
- შეგროვების შემდეგ მოსწავლეები გაუზიარებენ აუდიტორიას, რომელი კატეგორიის სიტყვები შეხვდათ და რომელი ბარათები შეაგროვეს.

აქტივობის ვიდეოვერსია: https://www.youtube.com/watch?v=stgkvhybzig